მართლმსაჯულებაზე წვდომა და სამართლებრივი დაცვის საშუალებები სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვებისთვის

საქართველო



ECPAT

PUBLIC HEALTH FOUNDATION OF GEORGIA

მადლობა:
ECPAT International მადლობას უხდის ყველა ადამიანს, ვინც მონაწილეობდა ამ კვლევაში.

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი:
ქეთევან მარგალიტაძე, მარიამ მასხულია და ლია სარალიძე

ECPAT International:
მატეო რუსო, რია გოიალი, ანდრეა ვარელა და ტიაგო აფონსო.

დიზაინი:
მანიდა ნაებკლანგი.

რეკომენდირებული ციტირება:
ECPAT International, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი. (2025). მართლმსაჯულებაზე წვდომა და სამართლებრივი დაცვის საშუალებები სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვებისთვის საქართველოში

ECPAT მადლობას უხდის ორგანიზაციას Bread for the World-ს ამ გამოცემის მომზადებაში გაწეული მხარდაჭერისათვის.

ECPAT International ასევე მადლობას უხდის შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) და Oak Foundation-ს ორგანიზაციის საერთო მიზნებისთვის ძირითადი დაფინანსების უზრუნველყოფისთვის.

ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები სრულად ეკუთვნის მხოლოდ ECPAT International-ს. დონორების მხარდაჭერა არ წარმოადგენს გამოთქმული შეხედულებების მხარდაჭერას. აქ მოცემული იდეები, მოსაზრებები და კომენტარები მთლიანად ავტორებს ეკუთვნის.

© ECPAT International, 2025.

გამომცემელი:
ECPAT International
ფაია თაის გზა, რაჩატევი,
ბანგკოკი 10400, ტაილანდი.
ტელეფონი:: +66 2 215 3388 | ელ-ფოსტა:: info@ecpat.org | ვებსაიტი : www.ecpat.org

შინაარსი

1 რატომ არის მნიშვნელოვანი მართლმსაჯულებაზე წვდომა და სამართლებრივი დაცვის საშუალებები ბავშვებისთვის, რომლებიც სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლნი გახდნენ? 2

2 მეთოდოლოგია 3

3 ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის შესახებ შეტყობინება და სამართლებრივი მოქმედებების დაწყება 4

4 ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულება 9

5 აღდგენასა და რეინტეგრაციაზე წვდომა 14

6 კომპენსაციაზე წვდომა 16

ადვოკატირების გზამკვლევი

ადვოკატირების გზამკვლევი 1:
მთავარი ხარვეზებისა და დასკვნების შეჯამება 18

ადვოკატირების გზამკვლევი 2:
ადვოკატირების გზამკვლევის მიზნები 20

1

რატომ არის მნიშვნელოვანი მართლმსაჯულებაზე წვდომა და სამართლებრივი დაცვის საშუალებები ბავშვებისთვის, რომლებიც სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლნი გახდნენ?

ბავშვებს, რომლებიც სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლნი გახდნენ, უფლება აქვთ თავიდან ააგონ თავიანთი ცხოვრება და იპოვონ განკურნების გზა. ამ პროცესში გადამწყვეტი ნაბიჯია მართლმსაჯულებაზე და ეფექტიან სამართლებრივ დაცვის საშუალებებზე წვდომა. საერთაშორისო სამართლის თანახმად, ბავშვებს აქვთ ფუნდამენტური უფლება იცხოვრონ ძალადობისა და ექსპლუატაციისგან თავისუფლად;[1] ხოლო როდესაც ეს ან სხვა უფლება ირღვევა, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეფექტიან სამართლებრივ საშუალებებზე და ზიანის ანაზღაურებაზე წვდომა.[2,3,4] მართლმსაჯულებაზე წვდომა გულისხმობს გადარჩენილთა სამართლებრივ გაძლიერებას და სამართლიან, დროულ და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მექანიზმებსა და დაცვის საშუალებებზე წვდომას, მათ შორის კომპენსაციასა და მხარდამჭერ მომსახურებებზე, რომლებიც მათ გამოჯანმრთელებასა და რეინტეგრაციას დაეხმარება.[5,6,7]

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან პრაქტიკაში ზიანის ანაზღაურების მისაღებად სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოება ხშირად ერთადერთი რეალური გზაა. ალტერნატიული გზები – ცალკეული სამოქალაქო სარჩელები ან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კომპენსაციის სქემები, როგორც წესი, არ არსებობს, ძვირადღირებულია, არაპრაქტიკულია ან მხოლოდ ფორმალურად არის წარმოდგენილი.[8]

1. UN General Assembly (UNGA). (1989). Convention on the Rights of the Child. Art 34.
2. UN General Assembly (UNGA). (1965). International Convention on the Elimination of Racial Discrimination. Art 6; UNGA. (1966). International Covenant on Civil and Political Rights. Art 2(3); UNGA. (1984). Convention against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment. Art 13; UNGA. (2006). International Convention for the Protection of All Persons from Enforced Disappearance. Art 12, 17(2)(f), 20.
3. UNGA. (1948). Universal Declaration of Human Rights. Art 8; UNGA. (2005). UN Basic Principles and Guidelines on the Right to a Remedy and Reparation for Victims of Gross Violations of International Human Rights Law and Serious Violations of International Humanitarian Law; UNGA. (1992). Declaration on the Protection of All Persons from Enforced Disappearances. Art 9, 13; UN Economic and Social Council. (1989). Principles on the Effective Prevention and Investigation of Extra-legal, Arbitrary and Summary Executions. Principles 4 and 16; UNGA. (1985). Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power. Principles 4 to 7; World Conference on Human Rights. (1993). Vienna Declaration and Programme of Action. Art 27; World Conference against Racism, Racial Discrimination, Xenophobia and Related Intolerance. (2001). Durban Declaration and Programme of Action. Art 13, 160-162 and 165; UNGA. (1998). Declaration on Human Rights Defenders. Art 9.
4. UN Committee on the Rights of the Child. (2003). General Comment No. 5 on 'General measures of implementation of the Convention on the Rights of the Child. CRC/GC/2003/5. Paragraph 24.
5. UN General Assembly (UNGA). (1989). Convention on the Rights of the Child. Art 39.
6. Liefaard, T. (2019). Access to Justice for Children: Towards a Specific Research and Implementation Agenda. The International Journal of Children's Rights, Vol. 27(2). 198.
7. ECPAT International. (2017). Through the Eyes of a Child: Barriers to Access to Justice and Remedies for Child Victims of Sexual Exploitation.
8. Ibid. 17.

2

მეთოდოლოგია

ამ დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია შეგროვდა სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზის შედეგად, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რამდენად უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობა სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვების წვდომას ბავშვზე ორიენტირებულ მართლმსაჯულებასა და დაცვაზე.

ნაშრომი ასევე მოიცავს ათ მთავარ რესპონდენტთან ჩატარებულ ხარისხობრივ, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების შედეგად მიღებულ ხედვებს. მათ შორის იყვნენ სახალხო დამცველის ოფისის, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, იურიდიული დახმარების სამსახურისა და პროკურატურის წარმომადგენლები, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მათ შორის იურისტები, პედაგოგები და ფსიქოლოგები. ინტერვიუების მიზანი იყო რესპონდენტთა აღქმების შესწავლა ბავშვთა მართლმსაჯულებაზე წვდომის პრაქტიკული რეალობის შესახებ.

კვლევის შედეგები წარდგენილ იქნა ეროვნული კონსულტაციის დროს ჯგუფისთვის, რომელშიც მონაწილეობდა 18 დაინტერესებული მხარე. შეხვედრა 2025 წლის 28 აპრილს თბილისში გაიმართა. მონაწილეებმა წარმოადგინეს უკუკავშირი კვლევის შედეგებზე და განიხილეს სამომავლო ნაბიჯები, რომლებიც ხელს შეუწყობს მართლმსაჯულებასა და ეფექტიან სამართლებრივ დაცვის საშუალებებზე წვდომის გაუმჯობესებას საქართველოში სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლ ბავშვებისთვის.

3

ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის შესახებ შეტყობინება და სამართლებრივი მოქმედებების დაწყება

საჩივრების ეროვნული მექანიზმები

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მიზნად ისახავს მართლმსაჯულების პროცესებში ჩართული ბავშვების საუკეთესო ინტერესების დაცვას. თუმცა, იგი არ შეიცავს კონკრეტულ მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ დანაშაულის მსხვერპლ ბავშვებს, მათ შორის სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლებს, ოფიციალური შეტყობინების მექანიზმებით საჩივრის წარდგენა.

ზოგადი საპროცესო კანონმდებლობა დანაშაულის მსხვერპლებს აძლევს შესაძლებლობას მიმართონ პროკურორს მსხვერპლად ცნობისათვის.[9] პროკურორმა შეიძლება გამოსცეს მსხვერპლად ცნობის დადგენილება როგორც ასეთი განცხადების საფუძველზე, ასევე საკუთარი ინიციატივით.[10] თუ დადგენილება 48 საათის განმავლობაში არ გამოიცა, განმცხადებელს შეუძლია მოთხოვნა გადაამისამართოს უფრო მაღალი რანგის პროკურორთან.[11] პროკურორის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ ან საქალაქო სასამართლოში.[12] კანონი არ განსაზღვრავს, შეუძლიათ თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მსხვერპლად ცნობის მოთხოვნა.

2015 წელს სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ დაარსა ცხელი ხაზი (116 006) ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებისთვის, მათ შორის ბავშვებთან დაკავშირებული შემთხვევებისთვისაც.[13] სხვა ცხელი ხაზი (111) შეიქმნა 2020 წელს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედი სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ. იგი მუშაობს 24/7 რეჟიმში და რეაგირებს ბავშვთა ძალადობის შემთხვევებზე, მათ შორის სექსუალური ძალადობის, ექსპლუატაციისა და უგულებელყოფის ფაქტებზე. ცხელი ხაზი ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.[14] 2012 წლიდან, პოლიციის მიერ ამოქმედდა ერთიანი საგანგებო დახმარების ნომერი (112), რომელიც განკუთვნილია სასწრაფო ზარებისთვის, მათ შორის ბავშვთა სექსუალური ძალადობის შემთხვევებისთვის და შესაბამის მომსახურებებზე

9. საქართველო. (2009). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
10. Ibid. მუხლი 56(5).
11. Ibid.
12. Ibid.
13. PHF. (2025, იანვარი). პერსონალური კომუნიკაცია.
14. Ibid.

გადამისამართებისთვის.[15] ასევე, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის ბავშვთა დახმარების ხაზი (116 111) იღებს ბავშვების შეტყობინებებს,[16] თუმცა რესურსების სიმცირის გამო, მისი მომსახურება შეზღუდულია.[17]

ინტერვიუირებულმა პროკურორმა აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში ბავშვებისთვის საჩივრის მექანიზმების ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანობის მხრივ მიღწეულია პროგრესი. მაგალითად მოიყვანა 2022 წელს თბილისში „ბარნაჰუსის მოდელის“ ამოქმედება, სადაც სპეციალურად გადამზადებული პროფესიონალები მუშაობენ ბავშვებთან დაკავშირებულ საქმეებზე.[18] სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებმაც გაამახვილეს ყურადღება იმაზე, რომ ბავშვებს ახლა შეუძლიათ მათთან დაკავშირება სოციალური მედიის, ცხელი ხაზის, თანამშრომლებთან უშუალო კომუნიკაციისა და წერილობითი განცხადებების გზით. შესაძლებელია ანონიმური შეტყობინებების გაკეთებაც, ხოლო სექსუალური ძალადობის შემთხვევებში, ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები პოლიციის ჩართვამდე აწვდიან ემოციურ მხარდაჭერას. თანამშრომლები გადამზადებულნი არიან ბავშვზე მორგებული კომუნიკაციის მიმართულებით, ასევე ბავშვებს შეუძლიათ თავად მოითხოვონ კონკრეტულ თანამშრომელთან საუბარი, თუ ასე ამჯობინებენ.

მიუხედავად ამ შესაძლებლობებისა, ინტერვიუირებული პროფესიონალების უმეტესი ნაწილის აზრით, არსებული შეტყობინების სისტემა ბავშვების საჭიროებებზე მორგებული არ არის. ერთ-ერთმა ფსიქოლოგმა აღნიშნა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებმა ხშირად არც კი იციან ამ ცხელი ხაზებისა და შეტყობინების მეთოდების შესახებ, რაც ხაზს უსვამს ცნობიერების ამაღლებისა და საინფორმაციო მუშაობის გაძლიერების საჭიროებას.

პროცედურული და პრაქტიკული ბარიერების გარდა, მუდმივ და მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ის გარემოება, რომ ბავშვების უმრავლესობას კვლავ აქვს მწირი ცოდნა იმის შესახებ, თუ რა არის სექსუალური ძალადობა და მისი ფორმები. სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებმა ცნობიერების დაბალი დონე ერთ-ერთ საკვანძო პრობლემად წარმოაჩინეს. ბავშვები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პირადი ცხოვრების დაცვას და ხშირ შემთხვევაში თავს იკავებენ ოჯახის წევრებისათვის ინციდენტების გამხელისაგან, ვინაიდან არსებობს შიშები შესაძლო დასჯის, დადანაშაულების ან საზოგადოებრივი გაკიცხვის გამო. აღნიშნული თავშეკავება კიდევ უფრო მძაფრდება მოზრდილთა მიმართ ნდობის ნაკლებობის ფონზე, რაც პირველადი გამხელის პროცესს საგრძნობლად ართულებს. წყაროების განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთა საქმეებს განიხილავს შინაგან საქმეთა სამინისტროს არასრულწლოვანთა საქმეთა განყოფილება, ხოლო ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით ფუნქციონირებს სპეციალიზებული სტრუქტურები როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში, ასევე პროკურატურაში. სამართალდამცავი უწყებები მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდებიან სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევების განხილვისას. ამის მიზეზად, ძირითადად, სახელდება შიშისა და სტიგმის გამო ბავშვთა მხრიდან ინფორმაციის მიწოდებაზე უარი. დამატებით, მტკიცებულებათა სიმცირე და ერთიანი პროცედურული სტანდარტების ნაკლებობა არსებითად ართულებს გამოძიების პროცესის წარმართვას.

გადამისამართების პროცედურა

2010 წელს საქართველოში პირველად ამოქმედდა ბავშვთა დაცვის რეფერირების

15. Ibid.
16. PHF. მომსახურება: ბავშვთა დახმარების ხაზი 116111.
17. PHF. (2025, იანვარი). პერსონალური კომუნიკაცია.
18. გაეროს ბავშვთა ფონდი- საქართველო. (2022). საქართველოში ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების პირველი ცენტრი გაიხსნა.
19. საქართველო. (2010). ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ.

პროცედურა.[19] 2016 წელს იგი გაფართოვდა ისე, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს, სამინისტროებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული რეფერალის მართვაზე, მიზნად კი განისაზღვრა კოორდინირებული და ეფექტიანი რეაგირების უზრუნველყოფა.[20] ბავშვებთან კონტაქტში მყოფ დაწესებულებებს — მათ შორის სკოლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, სოფლის ექიმებს, ბავშვზე ზრუნვის ინსტიტუტებს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, რაიონულ სამსახურებსა და საპატრულო პოლიციას — ეკისრებათ ვალდებულება გამოავლინონ ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევები,[21] შეაფასონ არსებული ეჭვების სისწორე[22] და მოახდინონ რეაგირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში.[23] ეჭვის დადასტურების შემთხვევაში, აღნიშნულმა ინსტიტუციებმა და პირებმა უნდა წარმოადგინონ რეფერირების ფორმა სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის ან სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთვის.[24] გამოვლენისა და რეფერირების ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ფიზიკურ პირებს შეიძლება დაეკისროთ გაფრთხილება ან 50–100 ლარის ოდენობის ჯარიმა, ხოლო დაწესებულებებსა და იურიდიულ პირებს — 100–200 ლარის ოდენობის ჯარიმა.[25]

ინტერვიუში მონაწილე ერთ-ერთმა ფსიქოლოგმა აღნიშნა, რომ რეფერირების პროცედურა მოიცავს სექსუალური ექსპლუატაციასთან დაკავშირებული განცხადებების მიღებისა და განხილვის მექანიზმებს. თუმცა, ინტერვიუში მონაწილე პროფესიონალებს შორის არსებობდა განსხვავებული მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ეფექტიანი და ბავშვებისთვის გამოსაყენებელია აღნიშნული სისტემა. სოციალური მომსახურების სააგენტოს ყოფილი მაღალი თანამდებობის პირის განცხადებით, რეფერირების პროცედურა საჭიროებს განახლებას, ვინაიდან 2016 წლიდან მისი გადახედვა არ მომხდარა და იგი არ ასახავს ახალ განვითარებებს, მაგალითად, ადგილობრივ დონეზე ბავშვთა მხარდაჭერისა და დაცვის ერთეულების შექმნას. ერთ-ერთმა იურისტმა დაამატა, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის შეტყობინების ფორმები ზედმეტად რთულია და მათი გამარტივებაა საჭირო, რათა ბავშვებისთვის ნაკლებად დამთრგუნველი გახდეს. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ფორმების უფრო ფართო გავრცელებისა და შესაბამისი ინსტრუქციების მნიშვნელობაზე, რაც ბავშვებს მის გამოყენებაში დაეხმარება.

დამატებით, ერთ-ერთმა იურისტმა ხაზი გაუსვა საზოგადოების ცნობიერების ნაკლებობას აღნიშნული სისტემის შესახებ. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ გამოვლენის მექანიზმები გაუმჯობესებულია, ეფექტიანობა დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ხარისხიანად ახორციელებენ ჩართული პროფესიონალები არსებულ პროცედურებს. და ბოლოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს ყოფილმა მაღალჩინოსანმა აღნიშნა, რომ რეფერირების სისტემის ეფექტიანობას ასევე აფერხებს სექსუალური ძალადობის გარშემო არსებული ხანგრძლივი ტაბუ, რის გამოც საზოგადოება ხშირად სერიოზულად ვერ აღიქვამს ბავშვებთან დაკავშირებულ შემთხვევებს და თავს იკავებს მათი განხილვისგან.

სამართლებრივი საქმის წარმოების დაწყება და მტკიცებულებების შეგროვება

საქართველოში სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება შეიძლება დაიწყოს როგორც გამომძიებლებისთვის ან

20. საქართველო. (2016). ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ.
21. Ibid. მუხლი 6; ძალადობის განსაზღვრება მოიცავს კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას, განსაკუთრებით სექსუალური ძალადობის აქტების გზით. იხ. საქართველო. (2010). ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ. მუხლი 3.
22. საქართველო. (2010). ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ. მუხლი 6(5).
23. Ibid. მუხლი 6(2).
24. Ibid. მუხლი 6(5).
25. საქართველო. (2014). საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. მუხლი 172(6).

პროკურორებისთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ასევე სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას გამოვლენილი ფაქტების ან მედიის საშუალებით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზეც.[26] გამომძიებლებს უფლება აქვთ, გამოძიება საკუთარი ინიციატივითაც დაიწყონ. დანაშაულის შესახებ შეტყობინება შესაძლებელია როგორც წერილობით, ასევე ზეპირად, ხოლო მოქალაქეს შეუძლია მოითხოვოს საკუთარი განცხადების წერილობითი დადასტურება.[27] ანონიმური შეტყობინება დაშვებულია[28] და მას შეუძლია გამოძიების დაწყება განაპირობოს, თუმცა იგი ვერ გამოიყენება ერთადერთ საფუძვლად სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად.[29]

ინტერვიუში მონაწილე ერთმა პროკურორმა განმარტა, რომ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვანთა განყოფილება, პროკურატურის შენობებში მოწყობილი ბავშვზე მორგებული ოთახები და ფსიქო-სოციალური ცენტრი სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებისთვის უზრუნველყოფენ კომპლექსურ საგამოძიებო და საპროცესო მხარდაჭერას. თუმცა, მრავალი შემთხვევა წლების განმავლობაში შეუტყობინებელი რჩება, რაც მტკიცებულებათა შეგროვებას ართულებს. სოციალურმა მუშაკმა ხაზი გაუსვა, რომ პოლიციისა და სოციალური მომსახურების არასათანადო კოორდინაცია ხელს უშლის გადარჩენილებისთვის უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს ჩამოყალიბებას. მიუხედავად ამისა, წარმატებული სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევები მაინც ფიქსირდება.

დამატებით გამოწვევებს შორის არის ონლაინ-მტკიცებულებათა მოპოვების სირთულე ყალბი პროფილების არსებობის გამო, აგრეთვე საზოგადოებრივი სტიგმის გავლენა, რომელიც აბრკოლებს შეტყობინებებს და ართულებს გამოძიების პროცესს. სახალხო დამცველის ოფისმა 2021 წლის ანგარიშში მიუთითა, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევების სტატისტიკის წარმოების მექანიზმი.[30] ამის შედეგად, შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს, რამდენი შემთხვევა იქნა შეტყობინებული და რამდენი სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოძიებული.[31]

სამართლებრივი დევნის ვადები

საქართველოში ბავშვთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისთვის არ არსებობს დანაშაულის ხანდაზმულობის ვადა.[32] ხანდაზმულობის ვადა წარმოადგენს იმ დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაში დაზარალებულ პირს შეუძლია განაცხადოს მის მიმართ ჩადენილ დანაშაულზე; აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კი სისხლისსამართლებრივი დევნა შეუძლებელი ხდება. ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის საქმეებში ხანდაზმულობის ვადის გაუქმება არსებით წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, რადგან ის გადარჩენილებს აძლევს საშუალებას მიმართონ სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს და მოიპოვონ მართლმსაჯულება. საქართველოს კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას ზიანის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო სარჩელებისთვის იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება სექსუალურ, ეკონომიკურ, ოჯახში ან სხვა სახის ძალადობას ბავშვთა მიმართ. ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულია მანამ, სანამ ბავშვი სრულწლოვანებას არ მიაღწევს ან მანამდე, სანამ თვითონ არ გადაწყვეტს სარჩელის წარდგენას.[33]

26. საქართველო. (2009). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი 101(1).
27. Ibid. მუხლი 101(2).
28. Ibid. მუხლი 101(3).
29. Ibid.
30. გაეროს ბავშვთა ფონდი და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. (2021). სპეციალური ანგარიში: ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება.
31. Ibid.
32. საქართველო. (1999). სისხლის სამართლის კოდექსი. მუხლი 71.
33. საქართველო. (2019). ბავშვის უფლებათა კოდექსი. მუხლი 77.

დაცვა მუქარისა და შურისძიებისგან

საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს კონკრეტულ პროცედურებს იმ შემთხვევაში, როდესაც სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის საქმეების გადარჩენილებს, მოწმეებს ან დანაშაულის შესახებ განმცხადებლებს სჭირდებათ მუქარისა და შურისძიებისგან დაცვა. თუმცა, ბავშვის უფლებათა კოდექსი სახელმწიფოს ავალდებულებს უზრუნველყოს დანაშაულისა და ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვა და მხარდაჭერა.[34] ინტერვიუში მონაწილე პროფესიონალთა უმეტესობას არ ჰქონდა ინფორმაცია მსხვერპლთა ან მოწმეების ოფიციალური დაცვის პროგრამების შესახებ. თუმცა, ერთ-ერთმა იურისტმა აღნიშნა, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ფუნქციონირებს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს კონფიდენციალური თავშესაფრები იმ პირებისთვის, რომლებიც საფრთხის წინაშე დგანან. ასევე, ერთ-ერთმა პროკურორმა განმარტა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მოწმეების დაცვის ღონისძიებებს[35] და პროკურორებს აქვთ შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, დაცვის პროგრამაში შეიყვანონ როგორც გადარჩენილები, ასევე განმცხადებლები და მოწმეები, თუ მათი უსაფრთხოება საფრთხის ქვეშ დგას.

> *კონსერვატიული გენდერული ნორმები აფერხებს შემთხვევების შეტყობინებას. ხოლო თემში მომუშავე პროფესიონალები ხშირად უგულებელყოფენ ბავშვთა დაცვის საკითხებს, რადგან მცდარად მიიჩნევენ რომ ეს მათი პასუხისმგებლობის ფარგლებს სცდება.*

შეტყობინებაზე ზემოქმედი სოციალური და კონტექსტუალური ფაქტორები

ბავშვთა დაცვისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა არ ახდენს მსხვერპლთა გენდერის მიხედვით დიფერენცირებას, თუმცა გაურკვეველია, მოიცავს თუ არა იგი საქართველოში სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი უცხო ქვეყნის ბავშვების დაცვას. მიუხედავად ამისა, ბავშვის უფლებათა კოდექსი სახელმწიფოს ავალდებულებს, ყველა ბავშვი თანაბრად იქნეს დაცული და მოპყრობილი რასის, კანის ფერის, გენდერის, ეროვნების, ეთნიკური კუთვნილებისა თუ სოციალური წარმომავლობის მიუხედავად.[36] ინტერვიუში მონაწილე პროფესიონალთა განცხადებით, კონსერვატიული გენდერული ნორმები აფერხებს შეტყობინების გაკეთებას და საჭიროა ადგილობრივ დონეზე მომუშავე პროფესიონალების ცნობიერების ამაღლება, რომლებიც ხშირად უგულებელყოფენ ბავშვთა დაცვას, მცდარად მიიჩნევენ რა, რომ ეს მათი პასუხისმგებლობის ფარგლებს სცდება. ინტერვიუირებულთა უმრავლესობამ მართლმსაჯულების სისტემაში დისკრიმინაციის კონკრეტული მაგალითები არ მოიყვანა, თუმცა ერთ-ერთმა სოციალურმა მუშაკმა ყურადღება გაამახვილა რომა უმცირესობებთან მიმართებით დანაშაულებრივობის წინასწარ განწყობაზე და აღნიშნა, რომ ენობრივი ბარიერები ზღუდავს მომსახურებებზე მათ წვდომას. ერთ-ერთმა იურისტმა დასძინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცედურების ნაწილი ითარგმნება, პროცესები ქართული ენაზე ტარდება. რამდენიმე რესპონდენტმა, მათ შორის სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებმა, ხაზი გაუსვეს, რომ თარჯიმნების შეფასება სათანადოდ არ ხდება, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მართლმსაჯულების სისტემაში სპეციალიზებული და კვალიფიციური თარჯიმნების მუდმივ საჭიროებას.

34. Ibid. მუხლი 61. მოიცავს დანაშაულის შედეგად დაზარალებული ან/და ძალადობის მსხვერპლი ან/და მოწმე ბავშვისთვის ხელმისაწვდომ მხარდაჭერის, ფიზიკური და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მოკლე- და გრძელვადიან პროგრამებსა და სერვისებს, დამცირებისგან, ხელახალი ტრავმირებისა და ზიანისგან ბავშვის დაცვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის, გასაჩივრებისა და ზიანის ანაზღაურების მექანიზმებს.
35. საქართველო. (2009). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი 49.
36. საქართველო. (2019). ბავშვის უფლებათა კოდექსი. მუხლი 7.

4

ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულება

დანაშაულის მსხვერპლ და მოწმე ბავშვთა უფლებების დაცვის ძირითად სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. ბავშვებთან დაკავშირებულ საქმეებს მხოლოდ ის პროფესიონალები[37] წარმართავენ, რომლებიც სპეციალიზებულნი არიან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.[38] მსხვერპლ ბავშვთა საქმეებში მოსამართლეთა კოლეგიას სავალდებულოდ უნდა ჰყავდეს ერთი მოსამართლე, რომელიც სპეციალიზებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში.[39]

ბავშვის უფლებათა კოდექსი ასევე ადგენს, რომ მართლმსაჯულება უნდა იყოს ბავშვისთვის ადაპტირებული და მოიცავდეს ბავშვის უფლებას ისეთ მართლმსაჯულების სისტემაზე, რომელსაც ხელმძღვანელობენ სპეციალიზებული პროფესიონალები და რომელიც ხელმისაწვდომია, ასაკის შესაბამისი და მარტივად გასაგები.[40] თუ საპროცესო მოქმედებას ახორციელებს პირი, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული არ არის, ბავშვს უფლება აქვს აცნობოს კვალიფიციურ პროფესიონალს, რომელიც შემდგომ გადაიბარებს საქმის წარმოებას.[41]

კანონის თანახმად, უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია ბავშვებს, რომლებიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესებში არიან ჩართულნი, მიაწოდოს ინფორმაცია მათი უფლებების, პროცესის მიმდინარეობისა და ხელმისაწვდომი მხარდაჭერისა და გასაჩივრების მექანიზმების შესახებ.[42] ყველა ეტაპზე, ბავშვებს აქვთ უფლება მიიღონ ინფორმაცია ასაკობრივი განვითარების შესაბამის ფორმატში, უფასო თარჯიმნის მომსახურება და საკონსულო დახმარება.[43] მიუხედავად აღნიშნული გარანტიებისა, სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელთა თქმით, სასამართლო პროცესისთვის ბავშვთა მოსამზადებელი ეტაპი განსხვავდება მოსამართლეების მიხედვით, რაც მოქმედებს ბავშვის კომფორტსა და საქმის წარმოების პროცესის გაგებაზე.

37. მათ შორის არიან პოლიციის თანამშრომლები, იურისტები, სოციალური მუშაკები, მედიატორები, პრობაციის ოფიცრები, მოწმისა და მსხვერპლის კოორდინატორი, არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის დაწესებულების თანამშრომლები და ფსიქოლოგი. საქართველო. (2015). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მუხლი 16.
38. საქართველო. (2015). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მუხლი 16.
39. Ibid. მუხლი 17 (3).
40. საქართველო. (2019). ბავშვის უფლებათა კოდექსი. მუხლი 69(2).
41. საქართველო. (2015). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მუხლი 15(2).
42. Ibid. მუხლი 10(5); საქართველო. (2019). ბავშვის უფლებათა კოდექსი. მუხლი 70.
43. საქართველო. (2015). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მუხლი 15(2).

იურიდიული დახმარება და მხარდაჭერა

დანაშაულის მსხვერპლ ბავშვებს უფლება აქვთ მიიღონ უფასო იურიდიული დახმარება სისხლის სამართლის საქმის წარმოების ყველა ეტაპზე.[44] თუ ბავშვს არ ჰყავს ადვოკატი, სახელმწიფოს ეკისრება ამ მომსახურების უზრუნველყოფის ვალდებულება,[45] და მუდმივ რეჟიმში ფუნქციონირებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატთა ჯგუფი, რომელიც დაუყოვნებლივ რეაგირებას ახორციელებს ასეთ შემთხვევებში.[46] ბავშვებს აქვთ უფლება მიიღონ თანმიმდევრული და კვალიფიციური იურიდიული დახმარება იმ ენასა და ფორმატში, რომელიც მათ ესმით, და ეს უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ საკუთარი ხარჯებით.[47] იურიდიული დახმარების სამსახური ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მშობლებმა ან მზრუნველებმა მიიღონ ბავშვის უფლებებზე იურიდიული კონსულტაცია ტელეფონის, ადაპტირებული ვებსაიტების, ბეჭდური მასალებისა და სხვა ფორმატების საშუალებით.[48] 14 წლამდე ბავშვების დაკითხვა დაშვებულია მხოლოდ მათი კანონიერ წარმომადგენლის თანხმობითა და თანდასწრებით,[49] რომელსაც უფლება აქვს მათი სახელით მოითხოვოს დასმული კითხვების დაზუსტება.[50] მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუში მონაწილეთა უმრავლესობამ არ მიუთითა სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვებისთვის უფასო იურიდიული მომსახურების ხელმისაწვდომობის შესახებ, ერთ-ერთმა რესპონდენტმა დაადასტურა, რომ სახელმწიფოს მიერ დანიშნული ადვოკატები სავალდებულოა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არჩეულია კერძო ადვოკატი. თუმცა, ბავშვები ხშირად არ არიან ინფორმირებული უფასო იურიდიული დახმარების უფლების შესახებ, რაც აუცილებელს ხდის რომ მათ დროულად მიეწოდოს ინფორმაცია და საქმის წარმოების დასაწყისშივე დანიშნულ იქნას დაცვის ადვოკატი.

ინტერვიუს პროტოკოლები

მოსამართლეს შეუძლია, როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე ბავშვის მოთხოვნის საფუძველზე, დანიშნოს ბავშვისთვის უსაფრთხო გამოკითხვის სპეციალური პროცედურები,[51] როგორიცაა გამოსახულების ან ხმის დამახინჯება, გაუმჭვირვალი ეკრანის მიღმა დაკითხვა/გამოკითხვა, ვიდეოჩანაწერების წარმოება ან დახურული სხდომის ჩატარება.[52] ასევე, მოსამართლეს შეუძლია დაავალოს ბრალდებულის დროებითი გაყვანა სასამართლო დარბაზიდან, თუ მისი ყოფნა შესაძლოა ბავშვის მეორედ ტრავმის მიზეზი გახდეს ან ზეგავლენა მოახდინოს ბავშვის უნარზე მისცეს ჩვენება ან თქვას სიმართლე.[53] დაკითხვა/გამოკითხვა უნდა ჩატარდეს ბავშვის კანონიერი წარმომადგენლისა და ადვოკატის თანდასწრებით. ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებში დაკითხვა/გამოკითხვა შესაძლებელია ჩაიწეროს აუდიო ან ვიდეო ფორმატში, შემდგომში სასამართლოში გამოყენების მიზნით.[54]

კვლევაში მონაწილეებმა სხვადასხვა მოსაზრება გამოთქვეს იმის შესახებ, თუ როგორ ხდება სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლ ბავშვთა დაკითხვა/გამოკითხვა. ერთ-ერთმა ფსიქოლოგმა აღნიშნა, რომ მიუხედავად დისტანციური გამოკითხვის მეთოდების არსებობისა, მხოლოდ რამდენიმე მოსამართლე იღებს ჩაწერილ ინტერვიუებს მტკიცებულებად. რესპონდენტის თქმით, ამ მეთოდების გამოყენება იშვიათია და კონტრავერსიულიც.

44. Ibid. მუხლი 15.
45. საქართველო. (2019). ბავშვის უფლებათა კოდექსი. მუხლი 74.
46. საქართველო. (2015). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მუხლი 20.
47. საქართველო. (2019). ბავშვის უფლებათა კოდექსი. მუხლი 79.
48. Ibid.
49. საქართველო. (2015). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მუხლი 52(4).
50. Ibid.
51. Ibid. მუხლი 24.
52. Ibid.
53. Ibid.
54. Ibid. მუხლი 52(3).

ერთ-ერთმა იურისტმა ასევე აღნიშნა, რომ მხოლოდ რუსთავის სასამართლოს აქვს ეფექტიანად მიჩნეული დისტანციური კავშირის მექანიზმი.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ბავშვები, რომლებიც ტექნოლოგიების საშუალებით სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ, შეიძლება განსაკუთრებით მგრძნობიარენი იყვნენ ზრდასრულთა მიერ ჩაწერის პროცესის მიმართ. ზოგიერთი მათგანისთვის კამერის არსებობა იწვევს დაუცველობის, სირცხვილის ან შემდგომი გამჟღავნების შიშის განცდას. დამატებითი კვლევაა საჭირო იმის უზრუნველსაყოფად, რომ გამოკითხვების ვიდეოჩანაწერი შეესაბამებოდეს ტრავმაზე ორიენტირებულ პრინციპებს და ფრთხილად დაბალანსდეს სანდო მტკიცებულებათა მოპოვების აუცილებლობა, თითოეული მსხვერპლი ბავშვის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობისა და ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე.

რამდენიმე რესპონდენტმა დაადასტურა, რომ მსხვერპლ ბავშვებთან დაკავშირებული სასამართლო სხდომები დახურულ რეჟიმში ტარდება, თუმცა ერთ-ერთმა იურისტმა ხაზი გაუსვა პროცესის ბავშვის საჭიროებებზე მორგების მნიშვნელობას, მათ შორის ბრალდებულთან კონტაქტის თავიდან აცილებას. სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებმა წარმოაჩინეს რამდენიმე პრობლემა, მათ შორის ბავშვზე მორგებული სივრცეების არარსებობა სასამართლო დარბაზებში, რომლებიც აღჭურვილი იქნებოდა დისტანციური ჩვენებისა და მოსამართლეებთან უშუალო კომუნიკაციისთვის. დამატებით, დაცვის ადვოკატები ზოგჯერ სვამენ ისეთ შეკითხვებს, რომლებიც არ შეესაბამება ბავშვისთვის მორგებულ მიდგომას და შეიძლება ემოციური ზიანი მიაყენოს მათ.

ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა

ბავშვის უფლებათა კოდექსი ადგენს, რომ ადმინისტრაციული წარმოება და სასამართლო პროცესი, რომელშიც ჩართულია ბავშვი, უნდა ეფუძნებოდეს მულტიდისციპლინარულ მიდგომას, რათა შეფასდეს მისი ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური და ფიზიკური ჯანმრთელობა.[55] ეს წესი ასევე ვრცელდება როგორც მსხვერპლ ბავშვებზე, ისე მოწმეებზე და მოიცავს სოციალური მუშაკების, სასამართლო-სამედიცინო და სამედიცინო ექსპერტების, ფსიქოლოგების, პედიატრების, პოლიციის თანამშრომლების, პროკურორებისა და ადვოკატების ერთობლივ მონაწილეობას.[56]

ბავშვებს ასევე აქვთ უფლება, დაკითხვისა და სხვა საპროცესო მოქმედებები ჩატარდეს ფსიქოლოგის თანდასწრებით, რათა შეფასდეს მათი საჭიროებები და მიეწოდოთ სათანადო მხარდაჭერა.[57] თუმცა, ეროვნულ კანონმდებლობაში არ არის გარანტირებული, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მსხვერპლ ბავშვების თანხლება, დახმარება და მხარდაჭერა გამოძიებისა და სასამართლო პროცესის განმავლობაში; მაშინ როდესაც მოწმის კოორდინატორებს, მშობლებსა და მეურვეებს ასეთი შესაძლებლობა აქვთ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ პრაქტიკაში ფსიქოლოგები ხშირად უჭერენ მხარს მსხვერპლ ბავშვებს სასამართლო პროცესებზე, თუმცა პროცედურულ ნაწილში კვლავ არსებობს გაუმჯობესების საჭიროება. ინტერვიუირებულთა უმრავლესობამ ასევე აღიარა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, განსაკუთრებით იურიდიული დახმარების გამწევი ორგანიზაციების, უფრო აქტიური ჩართულობის პოტენციალი. რაც შეეხება

55. საქართველო. (2019). ბავშვის უფლებათა კოდექსი. მუხლი 72.
56. Ibid.
57. Ibid. მუხლი 23.

ამ ორგანიზაციების ფსიქო-სოციალურ სერვისებზე წვდომას, დამოკიდებულია მოქმედი პროექტების არსებობასა და ხელმისაწვდომობაზე.

ინტერვიუში მონაწილეთა უმეტესობამ ხაზი გაუსვა ბავშვებისთვის იურიდიული და ფსიქო- სოციალური დახმარების უზრუნველყოფის მნიშვნელობას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მათი ასაკისა და გადატანილი ტრავმის გამო, აუცილებელია მათთან ურთიერთობაში ჩართული პროფესიონალების სათანადო გადამზადება. სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებმა ახსენეს ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების სასამართლო პროცესებში ჩართვისთვის სტანდარტიზებული სახელმძღვანელოების არსებობის მნიშვნელობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას თანმიმდევრული და ეფექტიანი მხარდაჭერა. აღნიშნეს ისეთი სირთულეები, როგორიცაა ბავშვების სასამართლო პროცესისთვის მომზადების არათანაბარი პრაქტიკა, ადვოკატთა მხრიდან განსხვავებული ხარისხის მიდგომები, რომლებიც შესაძლოა ემოციურ ზიანს იწვევდეს, ასევე ბარნაჰუსის მოდელის უფრო ფართო დანერგვის საჭიროება, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს ბავშვების ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასა და უსაფრთხო გარემოში ინფორმაციის გამჟღავნების შესაძლებლობას.

პირადი ცხოვრების უფლება

ბავშვების პირადი ცხოვრების უფლება, რომლებიც არიან სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლნი, დაცულია საქმის წარმოების ყველა ეტაპზე.[58] მათი პერსონალური მონაცემების გამჟღავნება ან გამოქვეყნება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს განპირობებულია სახელმწიფო უსაფრთხოების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ან დანაშაულის გამოძიებისა და პრევენციის საჭიროებით.[59] ეს მოიცავს ნებისმიერი სახის ინფორმაციის გავრცელებას, მათ შორის მედიის მიერ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ასახავდეს ბავშვის იდენტობას. მაგალითად, სურათებს, ბავშვის ან მისი ახლობლების აღწერას, სახელებს, მისამართებს, აუდიო/ვიდეო ჩანაწერებს.[60] აკრძალულია ასევე, ისეთი დოკუმენტებისა და ჩანაწერების გამჟღავნება, რომლებიც შეიცავს ბავშვის პერსონალურ მონაცემებს მის მიმართ ჩადენილ ძალადობასთან დაკავშირებით.[61]

ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალთა ტრენინგი და უნარების გაძლიერების შესაძლებლობები

სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, განახორციელოს ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალთა - განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის, სამართლისა და სამართალდამცავი სფეროს წარმომადგენლების წარსულის შემოწმება, რათა თავიდან იქნას აცილებული ბავშვისთვის ზიანის მიყენების რისკები.[62] ასევე, აღნიშნული პროფესიონალები უნდა გადიოდნენ ინტერდისციპლინურ ტრენინგებს ბავშვთა უფლებების, ასაკთან დაკავშირებული საჭიროებების, ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულებისა და კომუნიკაციის იმ მეთოდების შესახებ, რომლებიც შეესაბამება განვითარების ყველა ეტაპს და განსაკუთრებული სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ბავშვებს.[63] პროფესიული სპეციალიზაციის ინსტიტუციურმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს ხარისხის კონტროლი

58. საქართველო. (2015). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მუხლი 13.
59. საქართველო. (2011). პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონი. მუხლი 24; საქართველო. (2019). ბავშვის უფლებათა კოდექსი. მუხლი 69.
60. საქართველო. (2019). ბავშვის უფლებათა კოდექსი. მუხლი 71.
61. Ibid.
62. Ibid. მუხლი 73.
63. Ibid.

და ეთიკური სტანდარტების დაცვა ამ პროფესიონალთა შერჩევის, გადამზადებისა და საქმიანობის პროცესში.[64] შესაბამისი განვითარების სტანდარტების შემუშავება სახელმწიფოს ევალება.[65]

ბავშვებთან მომუშავე მართლმსაჯულებისა და პოლიციის პროფესიონალთა შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამებთან დაკავშირებით, ერთ-ერთმა სოციალურმა მუშაკმა ხაზი გაუსვა მრავალსექტორული თანამშრომლობის ტრენინგის აუცილებლობას, რომელიც კონცენტრირებული იქნება საქმის მართვასა და არსებული პრაქტიკის შეფასებაზე. პროკურორმა აღნიშნა, რომ არსებული ტრენინგ-მოდულები პრიორიტეტს ანიჭებს მსხვერპლ ბავშვებთან მუშაობის საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა, ერთ-ერთმა იურისტმა აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო ფართომასშტაბიანი გადამზადება საერთაშორისო სტანდარტებში, ბავშვის ფსიქოლოგიასა და განვითარების საჭიროებებში, მათ შორის ბავშვთა დაკითხვის/გამოკითხვის პროტოკოლებზე გადამზადებაც. იურისტმა გამოთქვა შეშფოთება, რომ ამჟამინდელი 10-დღიანი პროგრამები არასაკმარისია და საჭიროებს გაფართოებას. სხვა იურისტმა ხაზი გაუსვა უწყვეტი, სიღრმისეული გადამზადების საჭიროებას და აღნიშნა სპეციალისტების დეფიციტი, რომლებიც შეძლებენ ბავშვთა გამოკითხვის ტექნიკების შესწავლას. მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა სპეციალიზებული ფსიქოლოგების როლს და აღნიშნა, რომ საჭიროა ამ მიმართულებით სპეციალიზებული ორგანიზაციის შექმნა. ანალოგიურად, სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლებმა რეკომენდაცია წარადგინეს, რომ ტრენინგები კონცენტრირებული უნდა იყოს მსხვერპლ ბავშვებთან მუშაობაზე, მათ შორის ეფექტიანი ინტერვენციის სახელმძღვანელოების გამოყენებით.

64. Ibid.
65. Ibid. მუხლი 88.

5

აღდგენასა და რეინტეგრაციაზე წვდომა

კანონის თანახმად, სახელმწიფოს ევალება უზრუნველყოს როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი პროგრამები და სერვისები, რომლებიც მხარს დაუჭერს დანაშაულის მსხვერპლ ბავშვთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას. ეს მოიცავს ისეთი მექანიზმების დანერგვას, რომლებიც დაიცავს მათ დამცირებისგან, განმეორებითი ტრავმისგან და ზიანის მიყენებისგან.[66] მართლმსაჯულების განხორციელების ყველა ეტაპზე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბავშვთა უფლებების დაცვა და თავიდან აიცილოს მათი მეორეული ვიქტიმიზაცია.[67]

ბავშვთა დაცვის რეფერირების სისტემა შესაძლებელს ხდის ბავშვის განთავსებას შესაბამის სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში, მისი აღდგენის მხარდაჭერის მიზნით.[68] საჭიროების შემთხვევაში, ბავშვები შეიძლება გადაიყვანონ უსაფრთხო გარემოში, მაგალითად, სპეციალიზებულ ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებებსა ან თავშესაფრებში, როგორც უკიდურესი ღონისძიება.[69] ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს ასევე აქვთ უფლება, ისარგებლონ ამ დაწესებულებებში საცხოვრებელი პირობებითა და აღდგენის მხარდამჭერი სერვისებით,[70] ხოლო სახელმწიფოს ვალდებულებაა უზრუნველყოს მათთვის ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე წვდომა.[71]

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო პასუხისმგებელია რეაბილიტაციის პროცესების რეგულარულ მონიტორინგზე.[72] თუ ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმას გადახედვა სჭირდება, სააგენტომ უნდა განაახლოს იგი, შეაჩეროს მიმდინარე სერვისები და უზრუნველყოს ბავშვის გადაყვანა უფრო შესაფერის დაწესებულებაში ან საჭიროების შემთხვევაში, ოჯახურ გარემოში.[73] ინტერვიუში მონაწილე პროფესიონალებმა დაადასტურეს, რომ ბარნაჰუსის ცენტრი უზრუნველყოფს საგამოძიებო მოქმედებებს, ასევე სთავაზობს ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის სერვისებს როგორც მსხვერპლ ბავშვებს, ასევე მათ ოჯახებს, როგორც სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, ისე მისი დასრულების შემდეგ. ბავშვებს შეუძლიათ ამ

66. Ibid. მუხლი 43, 46.
67. Ibid. მუხლი 61.
68. საქართველო. (2010). ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ. მუხლი 4(3).
69. Ibid. მუხლი 9.
70. Ibid.
71. Ibid. მუხლი 43.

სერვისებით სარგებლობა სასამართლო პროცესის დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში. აღნიშნულ სერვისებში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი და ხელმისაწვდომია სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ რეფერირების გზით. ყოველ ბავშვს აქვს ინტერვენციის ინდივიდუალური გეგმა, რომელიც, როგორც წესი, გრძელდება ცხრა თვემდე და საჭიროების შემთხვევაში ექვემდებარება გახანგრძლივებას. ბარნაჰუსის ცენტრი ფუნქციონირებს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ფარგლებში, რომელიც ასევე კურირებს რეინტეგრაციის პროცესებს. იგი თანამშრომლობს მეურვეობის ორგანოებთან და სოციალურ მუშაკებთან შესაბამისი ინფორმაციის გაზიარებისა და შეფასებების ჩატარების გზით. თუმცა, რამდენიმე გამოწვევა კვლავ არსებობს, მათ შორისაა კვალიფიციური ფსიქოლოგების დეფიციტი და სერვისების ხელმისაწვდომობის გეოგრაფიული შეზღუდულობა.

ინტერვიუში მონაწილეთა უმეტესობამ ერთსულოვნად აღნიშნა ოჯახის მხარდაჭერის გაძლიერების საჭიროება. ეფექტიანობის გაზრდისთვის აუცილებელია სოციალური სერვისების გაძლიერება, კომპლექსური ბავშვთა დაცვის სერვისების განვითარება და ფსიქოლოგიური სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა, რომლებიც ამჟამად რაოდენობრივად შეზღუდულია, აგრეთვე დღის ცენტრებისა და კრიზისული ცენტრების გაძლიერება. მნიშვნელოვანია სხვადასხვა სერვისის მიმწოდებლებს შორის კოორდინაციაც, რათა მიღწეულ იქნას უფრო მდგრადი და ეფექტიანი შედეგები. სოციალური მომსახურების სააგენტოს ყოფილი მაღალჩინოსნის თქმით, საქართველოს დიდი ხნის განმავლობაში აკლდა კომპლექსური აღდგენის სერვისები. მიუხედავად იმისა, რომ ბარნაჰუსის მოდელი შემოღებულ იქნა იმისათვის, რომ შეემცირებინა სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა მეორეული ტრავმატიზაცია დაკითხვის/გამოკითხვის რაოდენობის შემცირებით, პრაქტიკაში კვლავ გვხვდება ბავშვების 7-8-ჯერ დაკითხვა/გამოკითხვის შემთხვევები. ბარნაჰუსის მოდელის დანერგვა პროგრესს წარმოადგენს, თუმცა ინტერვიუში მონაწილეთა ნაწილი თანხმდება, რომ გაუმჯობესება კვლავ საჭიროა, მათ შორის ბიუჯეტური თვალსაზრისითაც, რადგან აღდგენა -რეაბილიტაციის მცდელობები ძირითადად დამოკიდებულია 130 ლარის ოდენობის ერთჯერად დახმარებაზე, თანხაზე, რომელიც ქვეყნის საარსებო მინიმუმის გათვალისწინებით, საკმარისად არ მიიჩნევა.

6

კომპენსაციაზე წვდომა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, განაჩენის შემდეგ, სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლ ბავშვს შეუძლია კანონის საფუძველზე მოითხოვოს კომპენსაცია მიყენებული ზიანისთვის.[74] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, მსხვერპლებს უფლება აქვთ მოითხოვონ კომპენსაცია მსჯავრდებულისგან.[75] სისხლის სამართლის განაჩენში სავალდებულოდ უნდა იყოს ასახული გადაწყვეტილება დამნაშავის ქონების ჩამორთმევისა და კონფისკაციის შესახებ, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული ქონება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მსხვერპლის კომპენსაციისათვის.[76] ინტერვიუში მონაწილე ერთ-ერთმა პროკურორმა დაადასტურა, რომ კომპენსაციის მოთხოვნა უნდა დაიწყოს ცალკე სამოქალაქო საქმის წარმოების გზით.

2022 წელს მთავრობამ მიიღო რეგულაცია, რომელიც ეხება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირებისთვის კომპენსაციის გაცემას.[77] ამ კატეგორიის პირებს აქვთ უფლება მიიღონ სახელმწიფო კომპენსაცია იმ შემთხვევაში, თუ მათ ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანი დამნაშავის მიერ არ ანაზღაურდა.[78] კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო, ხოლო მის გაცემას უზრუნველყოფს სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო.[79] მართლმსაჯულების სისტემასთან ბავშვის პირველივე კონტაქტისას, უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია მას მიაწოდოს ინფორმაცია და გაუწიოს მხარდაჭერა კომპენსაციის სასამართლო ან ალტერნატიული მექანიზმებით მიღების შესაძლებლობის შესახებ.[80] ტრეფიკინგის საქმეებში კანონმდებლობა უფლებას აძლევს სამართალდამცავ ორგანოებს, გაყინონ და ჩამოართვან დამნაშავის ქონება მსხვერპლის კომპენსაციის უზრუნველსაყოფად, იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე საქართველოს მოქალაქეა და რეგისტრირებული ქონება გააჩნია.[81]

72. Ibid. მუხლი 15.
73. Ibid.
74. საქართველო. (2015). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მუხლი 25.
75. საქართველო. (1997). სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მუხლი 46(1).
76. საქართველო. (2009). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი 274
77. UN Women. (2022). საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლები კომპენსაციას მიიღებენ.
78. Ibid.
79. Ibid.
80. საქართველო. (2019). ბავშვის უფლებათა კოდექსი. მუხლი 70.
81. ECPAT International. (2018). ECPAT Country Overview: Georgia; PHF საქართველო. (2024, ივლისი). პერსონალური კომუნიკაცია.

თუმცა, არსებული ანგარიშების მიხედვით, პრაქტიკაში ტრეფიკინგის მსხვერპლებს კომპენსაცია არ მიუღიათ დამნაშავეებისგან, რადგან სამართალდამცავი ორგანოები ვერ ახერხებენ დამნაშავის ქონების კონფისკაციას.[82] დამატებით დაბრკოლებას წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც ტრეფიკერები უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან და ქონება საქართველოში არ გააჩნიათ.[83]

დანაშაულის მსხვერპლ ბავშვს აქვს უფლება მიიღოს სახელმწიფო კომპენსაცია, მათ შორის ფინანსური ზარალის ანაზღაურების მიზნით, დაჩქარებული პროცედურებით იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავისგან კომპენსაციის მიღება შეუძლებელია.[84] სახელმწიფო ფონდი წარმოადგენს ძირითად სუბიექტს, რომელიც ახორციელებს კომპენსაციის ადმინისტრირებას ტრეფიკინგისა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების მსხვერპლი პირებისთვის, რაც მოიცავს ფულად გადახდებს.[85]

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლებს შეუძლიათ კომპენსაციის მოთხოვნა სახელმწიფო ფონდის მეშვეობით,[86] კვლავ გაურკვეველია, რა მოცულობით შეუძლიათ მათ ამ სერვისზე წვდომა.[87] ერთ-ერთმა რესპონდენტმა დაადასტურა, რომ მსხვერპლებს შეუძლიათ კომპენსაციის მოთხოვნა პირდაპირ მსჯავრდებულებისგანაც, ხოლო კანონით არ არსებობს ზღვარი კომპენსაციის ოდენობაზე, მათ შორის არამატერიალური ზიანისთვის, როგორიცაა ემოციური ტკივილი. კომპენსაციის აღსრულება შესაძლებელია როგორც ქონების უზრუნველყოფით სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ისე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადახდის გზით. თუმცა, მოცემულმა კვლევამ ვერ მოიპოვა ინფორმაცია იმის შესახებ, სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლ ბავშვთა რა რაოდენობამ მიიღო კომპენსაცია და რა ოდენობის თანხები გაიცა.

82. US Department of State. (2024). 2024 Trafficking in Persons Report: Georgia.
83. Ibid.
84. საქართველო. (2019). ბავშვის უფლებათა კოდექსი. მუხლი 61.
85. Ibid.
86. PHF საქართველო. (2024, აპრილი). პერსონალური კომუნიკაცია.
87. Ibid.

1

მთავარი ხარვეზებისა და დასკვნების შეჯამება

ბავშვზე ორიენტირებული შეტყობინების სისტემების ნაკლოვანება:

არსებული მიმართვიანობის (რეფერირების) და შეტყობინების მექანიზმები არასაკმარისად არის ბავშვზე ორიენტირებული, რაც ქმნის ბარიერს, რომ სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლმა ბავშვებმა, სამართლებრივი მოქმედებების ინიცირების მიზნით, შეძლონ ძალადობის შესახებ უსაფრთხოდ და თავდაჯერებულად შეტყობინება. მოქმედი პროცედურები ბავშვებისთვის შეიძლება აღიქმებოდეს როგორც დამაშინებელი, რთული ან მიუწვდომელი. გარდა ამისა, ბავშვებსა და მათ მზრუნველებს შორის დაბალია ცნობიერება და ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენონ ეს მექანიზმები.

ბავშვზე მორგებული ინფრასტრუქტურის სიმწირე და უწყებათაშორისი კოორდინაციის სისუსტე:

საქართველოს მასშტაბით პოლიციის სამმართველოებსა და პროკურატურის ოფისებში არ არსებობს სათანადოდ აღჭურვილი, ბავშვზე მორგებული სივრცეები, რაც აფერხებს სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვებისთვის შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფას. სამართალდამცავ ორგანოებსა და სოციალური დაცვის სისტემებს შორის კოორდინაცია კვლავ სუსტია, რაც ხელს უწყობს შემთხვევების არასაკმარის შეტყობინებას და არასათანადო რეაგირებას. გარდა ამისა, მოქმედი კანონმდებლობა სრულად არ უზრუნველყოფს ბარნაჰუსის მოდელის (ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრი) ეფექტიან

ფუნქციონირებას, ხოლო რეგიონულ ცენტრებში მსგავსი მულტიდისციპლინური სივრცეები საერთოდ არ არსებობს.

მსხვერპლი ბავშვებისთვის ტრავმაზე ორიენტირებული მხარდამჭერი რესურსებისა და სტანდარტების ნაკლებობა:

პროფესიონალებს აკლიათ თანმიმდევრული, სპეციალიზებული გადამზადება ტრავმაზე ორიენტირებული ზრუნვისა და ძალადობისა და ექსპლუატაციის მსხვერპლ ბავშვებთან ეფექტიანი კომუნიკაციის საკითხებში. სასამართლო და საგამოძიებო გარემოში ხშირია სტანდარტიზებული პროტოკოლების ნაკლებობა, რომლებიც უზრუნველყოფდა ბავშვზე მორგებულ პირობებს, ხოლო ფსიქოლოგის ან სოციალური მუშაკის თანდასწრება სისტემატურად გარანტირებული არ არის. იურიდიულ და ფსიქო-სოციალურ სფეროებს შორის სუსტი თანამშრომლობა კიდევ უფრო ასუსტებს იმ ყოვლისმომცველ მხარდაჭერის სისტემას, რომელიც აუცილებელია მსხვერპლ ბავშვთა დაცვისა და დახმარებისთვის.

ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის შესახებ ცნობიერებისა და პრევენციული განათლების სიმწირე:

არ არსებობს ყოვლისმომცველი და კოორდინირებული ძალისხმევა ბავშვებისა და მშობლების ცნობიერების ამაღლებისთვის ბავშვთა მიმართ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის რისკების შესახებ. სკოლების სასწავლო პროგრამებში იშვიათად არის ინტეგრირებული პრევენციული შინაარსი, ხოლო საგანმანათლებლო მასალები ხშირად მიუწვდომელია ან არ არის ასაკის შესაბამისი. არ ხდება მშობლების სისტემატური აღჭურვა საჭირო ცოდნითა და ინსტრუმენტებით, რათა მათ შეძლონ რისკების ამოცნობა ან ეფექტიანი კომუნიკაცია საკუთარი შვილებთან. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიები კვლავ შეზღუდულია მასშტაბითა და აუდიტორიის მოცვით, ხოლო ძირითადი აქტორებს შორის თანამშრომლობა ხშირად ფრაგმენტულია. გარდა ამისა, არსებული პრევენციული მცდელობები იშვიათად ითვალისწინებს მარგინალიზებული ჯგუფების საჭიროებებს, რომელთაც დამატებითი ბარიერები აქვთ ინფორმაციისა და მხარდაჭერის მიღებაში. უსაფრთხო და ხელმისაწვდომი შეტყობინების არხებიც არ არის ფართოდ ცნობილი, ან პოპულარიზებული.

დისკრიმინაციული პრაქტიკა და ენობრივი ხელმისაწვდომობის შეზღუდვები სამართალწარმოების პროცესებში:

სამართალწარმოების პროცესს ხშირად აკლია კვალიფიციური თარგმანებისა და თარჯიმნების მომსახურება, რაც ქმნის კომუნიკაციის ბარიერებს არაქართულენოვან და მარგინალიზებულ თემებში, მათ შორის რომა უმცირესობებისთვის. არ არსებობს თარჯიმანთა კვალიფიკაციის სისტემატური შეფასება, ხოლო მრავალენოვანი მხარდაჭერა სასამართლო პროცესებში კვლავ არასაკმარისია. გარდა ამისა, მართლმსაჯულების პროფესიონალებს უმეტეს შემთხვევაში არ გაუვლიათ გადამზადება კულტურული მგრძნობელობის მიმართულებით, რაც ხელს უწყობს მიკერძოებულ დამოკიდებულებებსა და უმცირესობათა ჯგუფების მიმართ უთანასწორო მოპყრობას მართლმსაჯულების სისტემაში.

2

ადვოკატირების გზამკვლევის მიზნები

ადვოკატირების გზამკვლევი მიზნად ისახავს:

მიზანი 1

ბავშვზე ორიენტირებული და ხელმისაწვდომი დაცვისა და შეტყობინების მექანიზმების გაძლიერება

მიზანი 2

ინსტიტუციური შესაძლებლობებისა და სექტორთაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესება სექსუალური ექსპლუატაციისგან ბავშვთა დაცვის მიზნით

მიზანი 3

ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის შესახებ პრევენციული განათლებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა

მიზანი

1

ბავშვზე მორგებული
და ხელმისაწვდომი
დაცვისა და შეტყობინების
მექანიზმების გაძლიერება

მოკლე დასაბუთება

საქართველოში არსებული რეფერირების და შეტყობინების მექანიზმები არასაკმარისად არის ბავშვზე ორიენტირებული, რაც ბავშვებს მნიშვნელოვნად ურთულებს ძალადობის შემთხვევების გამოვლენას და მართლმსაჯულებაზე წვდომას. მარგინალიზებული ჯგუფები, მათ შორის ეთნიკური უმცირესობები და არაქართულენოვანი პირები, დამატებით ბარიერებს აწყდებიან კვალიფიციური თარჯიმნებისა და კულტურულად შესაბამისი მხარდაჭერის არარსებობის გამო. ბავშვზე ორიენტირებული და ხელმისაწვდომი მექანიზმების გაძლიერება აუცილებელია არა მხოლოდ ბავშვთა დაცვისა და სამართლებრივი დაცვის უფლების უზრუნველსაყოფად, არამედ ბავშვთა დაცვის სისტემის მიმართ ნდობის გაზრდის, შემთხვევების უკეთ გამოვლენისა და ასევე, ბავშვის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისთვის. ამ მექანიზმების უფრო ხელმისაწვდომად, ინკლუზიურად გარდაქმნის და მის შესახებ ცნობადობის ამაღლებით, საქართველოს შეუძლია მნიშვნელოვნად გაუმჯობესოს ბავშვთა მიმართ სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევებზე ეროვნული რეაგირება.

შედეგი 1.1:

შეტყობინების და რეფერირების მექანიზმების ხელმისაწვდომობისა და ბავშვზე ორიენტირებულობის გაუმჯობესება

შეტყობინების პროცედურები, ფიზიკური სივრცეები (მაგ., პოლიციის განყოფილებები, სერვისცენტრები) და მასალები ადაპტირებული უნდა იყოს ბავშვის ასაკის შესაბამისად, იყოს არადამაშინებელი და ინკლუზიური, მათ შორის შშმ ბავშვებისა და ბავშვებისთვის უმცირესობათა თემებიდან.

სამიზნე



სამიზნე 1.1.1

საშუალო ვადიანი

საქართველოს ბავშვთა დაცვის ინსტიტუციები (მაგ., პოლიციის სამმართველოები, პროკურატურა, სასამართლოები, იურიდიული დახმარების სამსახური, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეებზე) ახდენენ საკუთარი ფიზიკური სივრცეებისა და პროცედურების ისე ადაპტირებას, რომ ისინი ორიენტირებული და ინკლუზიური გახდეს ყველა ბავშვისთვის, მათ შორის შშმ ბავშვებისა და უმცირესობათა თემების ბავშვებისთვის (საქართველოს 2024–2026 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად) - 2026 წლის ბოლომდე.

სამიზნე 1.1.2

საშუალო ვადიანი

შემუშავდეს და გავრცელდეს მრავალენოვანი, ბავშვზე მორგებული საინფორმაციო მასალები — ბუკლეტები, მოკლე ვიდეოები, ციფრული მედია კონტენტი, რომლებიც აღწერენ საჩივრების შეტანის პროცედურებსა და არხებს უზრუნველყოფილი იქნას ამ მასალების ხელმისაწვდომობა ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვა ფართოდ გავრცელებულ უმცირესობათა ენებზე, და მათი გავრცელება სოციალური მედიის პლატფორმებისა და სხვა ხელმისაწვდომი არხების საშუალებით, რათა ეფექტიანად მივიდეს ბავშვებამდე, ახალგაზრდობამდე, მშობლებამდე და მზრუნველებამდე ეთნიკური უმცირესობების თემებში. - 2026 წლის ბოლომდე.

სამიზნე 1.1.3

საშუალო ვადიანი

უზრუნველყოფილი იქნას ბავშვთან პირველადი კონტაქტის მქონე პროფესიონალებისთვის (მაგ., სამართალდამცავები, სოციალური მუშაკები, ცხელი ხაზის ოპერატორები და სხვ.) ტრენინგების ჩატარება ბავშვზე მგრძნობიარე კომუნიკაციისა და ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციასთან დაკავშირებული რეფერირების პროცედურებზე - 2026 წლის ბოლომდე.

სამიზნე 1.1.4

გრძელვადიანი

ბავშვზე მგრძნობიარე კომუნიკაციისა და რეფერირების პროცედურებზე ტრენინგები ინტეგრირებული იქნას სავალდებულო სასწავლო პროგრამებში, როგორც პროფესიული საქმიანობის დაწყებამდე (პრე-სერვისი), ისე პროფესიული საქმიანობის პროცესში (სერვისში) ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებისთვის (მაგ., სამართალდამცავები, სოციალური მუშაკები, ცხელი ხაზის ოპერატორები და სხვ.).

შედეგი 1.2

ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევების შეტყობინებების ზრდა ბავშვებისა და მზრუნველების მიერ

გაძლიერებული სისტემებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების შედეგად, მეტი ბავშვი და ოჯახი იქნება ინფორმირებული საკუთარი უფლებებისა და არსებული მექანიზმების შესახებ, და იგრძნობენ ძალაუფლებას, რომ უსაფრთხო და დროულ გარემოში მოახდინონ სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევების შეტყობინება.

სამიზნე



სამიზნე 1.2.1

მოკლე და საშუალო ვადიანი

ჩატარდეს ცნობიერების ამაღლების სესიები მშობლებისა და ბავშვებისთვის სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის ამოცნობისა და შეტყობინების მექანიზმების გამოყენების შესახებ - 2026 წლის ბოლომდე.

სამიზნე 1.2.2

საშუალო ვადიანი

უზრუნველყოფილი იქნას, რომ ყველა რეფერირების სერვისსა და ეროვნულ ბავშვთა ცხელი ხაზში დასაქმებული პერსონალი იყოს გადამზადებული და ხელმისაწვდომი იყოს ენობრივი მხარდაჭერა არაქართულენოვანი მომხმარებლებისთვის - 2026 წლის ბოლომდე.

სამიზნე 1.2.3

საშუალო და გრძელვადიანი

მიღწეული იქნას 20%-იანი ზრდა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის სავარაუდო შემთხვევებზე შეტყობინებების რაოდენობაში, რომლებიც გაკეთებულია ბავშვების ან მათი მზრუნველების მიერ ოფიციალური არხებით. აღნიშნული მაჩვენებელი უნდა შედარდეს წინა წლების ოფიციალურ მონაცემებს (მაგ. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მონაცემები).

შედეგი 1.3:

ინსტიტუციური ვალდებულებების გაძლიერება ბავშვთა მიმართ სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ, ძირითადი აქტორებისადმი ადვოკატირების გზით

ადვოკატირების მიზანმიმართული ძალისხმევა ძირითადი სტეიკჰოლდერების მიმართ, უზრუნველყოფს ინსტიტუციური ცნობიერების, ჩართულობისა და ვალდებულებების გაზრდას ბავშვთა დაცვის სისტემების გაუმჯობესების მიმართულებით, განსაკუთრებით სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლთათვის, რეფერირების და შეტყობინების მექანიზმების კუთხით. რეგულარული დიალოგი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები და სექტორთაშორისი კოორდინაცია ხელს უწყობს პოლიტიკის, პრაქტიკისა და რესურსების განაწილების კონკრეტულ გაუმჯობესებას როგორც ეროვნულ ისე მუნიციპალურ დონეზე.

სამიზნე



სამიზნე 1.3.1

მოკლე ვადიანი

ჩატარდეს მინიმუმ ექვსი ადვოკატირების შეხვედრა ან მრგვალი მაგიდის დისკუსია სახელმწიფო და არასახელმწიფო დაინტერესებულ მხარეებთან (მაგ., შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო, იურიდიული დახმარების სამსახური, იუსტიციის უმაღლესი სკოლა, სახალხო დამცველის ოფისი, ადგილობრივი თვითმმართველობა, პარლამენტი) ბავშვთა დაცვის რეფერირების და შეტყობინების სისტემებში არსებული ხარვეზების წარსადგენად და ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების გაუმჯობესებების შესათავაზებლად - 2025 წლის ბოლომდე.

სამიზნე 1.3.2

მოკლე ვადიანი

მომზადდეს და გავრცელდეს პოლიტიკის მოკლე მიმოხილვები ან პოზიციის დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს პრაქტიკულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს ბავშვთა დაცვის მექანიზმების ხელმისაწვდომობის, ბავშვზე ორიენტირებულობისა და ინკლუზიურობის გაუმჯობესების მიზნით - 2025 წლის ბოლომდე.

მიზანი

2

ინსტიტუციური შესაძლებლობებისა და სექტორთაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესება სექსუალური ექსპლუატაციისგან ბავშვთა დაცვის მიზნით

მოკლე დასაბუთება

საქართველოში ინსტიტუციური რეაგირება ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევებზე კვლავ ფრაგმენტულია და არათანაბრად გამოიყენება რეგიონების მიხედვით. სამართალდამცავ, სასამართლო და სოციალური სერვისების პროფესიონალებს ხშირად აკლიათ საჭირო გადამზადება და ინსტრუმენტები ტრავმაზე ორიენტირებული და ბავშვზე მგრძნობიარე მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. უწყებათაშორისი თანამშრომლობის სტანდარტიზებული პროტოკოლების არარსებობა იწვევს სუსტ კოორდინაციას, საქმეების მართვის დაგვიანებას და დამატებით სტრესს მსხვერპლი ბავშვებისთვის. გარდა ამისა, ინტეგრირებული სერვისების მოდელები, როგორიცაა „ბარნაჰუსი“, რომლებიც ბავშვებისთვის უსაფრთხო, მულტიდისციპლინურ გარემოს უზრუნველყოფენ, უმეტეს რეგიონში არასაკმარისადაა განვითარებული ან საერთოდ არ არსებობს. ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება ტრენინგების, საკანონმდებლო რეფორმისა და კოორდინირებული სერვისცენტრების ოპერაციულ დონეზე დანერგვის გზით კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა ყოველმა მსხვერპლმა ბავშვმა დროულად, ეფექტიანად და თანაგრძნობით მიიღოს ზრუნვა და მართლმსაჯულება.

სამიზნე



სამიზნე 2.1.1

საშუალო ვადიანი

შემუშავდეს და დაინერგოს სტანდარტიზებული პროტოკოლები და ტრენინგ-მოდულები ტრავმაზე ორიენტირებულ ზრუნვასა და მსხვერპლ ბავშვებთან ეფექტიან კომუნიკაციაზე, მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი ინსტიტუციების ფარგლებში (სამართალდამცავები, მოსამართლეები, პროკურორები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სხვ.).

სამიზნე 2.1.2

საშუალო ვადიანი

შემუშავდეს და დაინერგოს სტანდარტიზებული ტრენინგ-მოდულები და ოპერაციული პროტოკოლები ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევებზე სექტორთაშორისი რეაგირების შესახებ, დამტკიცებული შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ.

სამიზნე 2.1.3

მოკლე და საშუალო ვადიანი

შეიქმნას რეფერირების ხელსაწყოთა ნაკრები/სახელმძღვანელო პროფესიონალებისთვის, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს როლებსა და პროცედურებს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევებზე რეაგირებისათვის.

შედეგი 2.2:

უწყებათაშორისი კოორდინაციისა და ინფრასტრუქტურის გაძლიერება ბავშვზე ორიენტირებული საქმისწარმოებისათვის ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევებში

კოორდინირებული, მრავალსექტორული რეაგირების სისტემა უზრუნველყოფს სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვებისთვის ეფექტიან და ბავშვზე ორიენტირებულ საქმისწარმოებას. სამართალდამცავ ორგანოებს, სოციალურ სერვისებს, მართლმსაჯულების, განათლებისა და ჯანმრთელობის სფეროებს შორის განსაზღვრულია მკაფიო როლები და პროცედურები, რასაც ემყარება შესაბამისი ინფრასტრუქტურა და სამართლებრივი ჩარჩოები. მულტიდისციპლინური თანამშრომლობა აუმჯობესებს გადარჩენილებისთვის მიწოდებული სერვისების ხარისხს, ეფექტიანობასა და უწყვეტობას, ამცირებს ინსტიტუციურ ხარვეზებს და იცავს ბავშვებს დაგვიანებული დაცვისა და მართლმსაჯულებისგან.

სამიზნე



სამიზნე 2.2.1

საშუალო ვადიანი

შეიქმნას ან განახლდეს მინიმუმ ორი მულტიდისციპლინური, ბავშვზე მორგებული ცენტრი (მაგალითად, ბარნაჰუსის ტიპის ობიექტები) სამიზნე რეგიონებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ინტეგრირებულ სამართლებრივ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ სერვისებს.

სამიზნე 2.2.2

საშუალო და გრძელვადიანი

თითოეულ სამიზნე რეგიონში უზრუნველყოფილი იქნას სამართალდამცავ ორგანოებს, სოციალურ სერვისებს, ჯანდაცვის პროფესიონალებსა და მართლმსაჯულების წარმომადგენლებს შორის კოორდინაციის კვარტალური შეხვედრები.

სამიზნე 2.2.3

გრძელვადიანი

მომზადდეს და მხარდაჭერილი იქნას საკანონმდებლო ცვლილებები უწყებათაშორისი თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციისა და ბავშვთა დაცვის მულტიდისციპლინური მოდელების სრულმასშტაბიანი დანერგვის უზრუნველსაყოფად.

მიზანი

3

პრევენციული განათლებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის შესახებ

მოკლე დასაბუთება

საქართველოში ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია ხშირად შეუმჩნეველი რჩება, რადგან ამ თემას თან ახლავს ცნობიერების დაბალი დონე, სტიგმა და დუმილი. ბევრი ბავშვი და მშობელი მოკლებულია ცოდნას, ამოიცნოს „გრუმინგის“ ქცევები ან გაიგოს, როგორ უნდა უპასუხოს ძალადობას. სკოლებში იშვითია სტრუქტურირებული პრევენციული განათლება, ხოლო საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიები ამ თემაზე კვლავ მწირია და მიუწვდომელი უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის. ფართომასშტაბიანი და ინკლუზიური ცნობიერების ამაღლების გარეშე, პრევენცია სუსტია და ბავშვები რჩებიან რისკის წინაშე როგორც ონლაინ, ისე ოფლაინ გარემოში. აუცილებელია საზოგადოების განათლება მედიისა და ინფორმაციის მიზნობრივი გავრცელების გზით, განსაკუთრებით მარგინალიზებული ჯგუფების მიმართ, რათა ბავშვები გაძლიერდნენ, მშობლები ჩაერთონ და შეიქმნას დამცავი გარემო, რომელიც აღკვეთს ექსპლუატაციას მის მოხდენამდე.

შედეგი 3.1:

ბავშვებისა და მშობლების გაზრდილი ცოდნა და ამაღლებული ცნობიერება ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ

ბავშვებსა და მათ მშობლებს ან მზრუნველებს გაუმჯობესებული ექნებათ ცოდნა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის რისკების, ნიშნებისა და შედეგების, ასევე პრევენციისა და შეტყობინების სტრატეგიების შესახებ. სტრუქტურირებული საგანმანათლებლო ინტერვენციებისა და საზოგადოების ჩართულობის გზით, ოჯახები უფრო მომზადებულნი იქნებიან გრუმინგისა და ძალადობის ამოსაცნობად, ღია კომუნიკაციის დასამყარებლად და საჭიროების შემთხვევაში, მხარდამჭერ სერვისებზე წვდომისთვის. ეს ხელს შეუწყობს ისეთ გარემოს, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს პრევენციას და ძალადობის ადრეულ გამოვლენას.

სამიზნე

სამიზნე 3.1.1

მოკლე და საშუალო ვადიანი

ჩატარდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების სესიები ბავშვებისა და მშობლებისთვის ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის ამოცნობისა და პრევენციის საკითხებზე, ქალაქებსა და სოფლებში.

სამიზნე 3.1.2

მოკლე და საშუალო ვადიანი

შემუშავდეს და გავრცელდეს ბავშვზე და მშობელზე მორგებული საინფორმაციო მასალები (მაგ., ბუკლეტები, პოსტერები, ვიდეოები) მინიმუმ სამ ენაზე (ქართული, სომხური, აზერბაიჯანული) და მიღწეულ იქნას მინიმუმ 5,000 ბავშვისა და მზრუნველის ჩართულობა პირისპირ ან ცნობიერების ამაღლების ციფრული კამპანიების საშუალებით.

შედეგი 3.2:

ასაკის შესაბამისი და ინკლუზიური პრევენციული განათლება ინტეგრირებული არის სასკოლო სასწავლო გეგმებსა და კლასგარეშე პროგრამებში

ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის პრევენციასთან დაკავშირებული საკითხები სისტემატურადაა გათვალისწინებული ფორმალური განათლების სისტემაში — ეროვნული სასწავლო გეგმისა და კლასგარეშე აქტივობებში ასაკის შესაბამისი და ინკლუზიური შინაარსის ინტეგრირებით. ბავშვები იღებენ სტრუქტურირებულ განათლებას საკუთარი სხეულის ავტონომიის, პირადი უსაფრთხოების და ძალადობის ამოცნობის შესახებ. გამოყენებული სასწავლო მასალები და მეთოდები ადაპტირებულია მათი ასაკის, განვითარების ეტაპისა და კონკრეტული საჭიროებების შესაბამისად, მათ შორის — შშმ ბავშვებისა და უმცირესობათა თემების ბავშვებისთვის.

სამიზნე



სამიზნე 3.2.1

საშუალო ვადიანი

განათლების სამინისტროსა და ადგილობრივ სკოლებთან თანამშრომლობით, ეროვნული სასწავლო გეგმის I–IX კლასებში ინტეგრირდეს პრევენციის საბაზისო მოდულები.

სამიზნე 3.2.2

საშუალო ვადიანი

ჩატარდეს მასწავლებელთა გადამზადება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უზრუნველყონ ბავშვზე მორგებული და კულტურულად მგრძნობიარე პრევენციული განათლება.

სამიზნე 3.2.3

საშუალო ვადიანი

განხორციელდეს ბავშვთა უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამების პილოტირება სხვადასხვა რეგიონის მინიმუმ 10 სკოლაში, მათ შორის მაღალი რისკის ზონებსა და უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე.

შედეგი 3.3:

კულტურულად და ენობრივად შესაბამის პრევენციულ რესურსებზე წვდომისა და ინფორმაციის გავრცელების გაფართოება მოწყვლად და მარგინალიზებულ თემებში

მოწყვლადი და მარგინალიზებული ჯგუფების ბავშვებსა და მზრუნველებს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების, იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა, შშმ ბავშვებისა და სოფლის თემების წარმომადგენლებს, გაუმჯობესებული ექნებათ წვდომა კულტურულად და ენობრივად შესაბამის ინფორმაციასა და რესურსებზე ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის პრევენციისთვის. ცნობიერების ამაღლების მასალები და მიწოდების მეთოდები ადაპტირებული იქნება თემების საჭიროებებზე, ხელს შეუწყობს ინკლუზიურობას და უზრუნველყოფს ყველა ბავშვის თანაბარ დაცვას — ენის, წარმომავლობისა თუ საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

სამიზნე

სამიზნე 3.3.1

მოკლე და საშუალო ვადიანი

მომზადდეს სპეციალურად შემუშავებული ცნობიერების ამაღლების მასალები და სესიები მინიმუმ სამი მარგინალიზებული ჯგუფისთვის (მაგალითად, ეთნიკური უმცირესობები, შშმ ბავშვები, სოფლის თემები), სადაც ყველა მასალა მომზადებულია ხელმისაწვდომ ფორმატებში — ბრაილზე, მარტივად წასაკითხ ვერსიებად და საჭიროების შემთხვევაში ჟესტური ენით თარგმნით.

სამიზნე 3.3.2

საშუალო ვადიანი

ჩატარდეს ადვოკატირების ფორუმები მარგინალიზებულ თემებში მომსახურებისა და ინფორმაციის ნაკლებობის საკითხის წინ წამოსაწევად, სადაც მიწვეულნი იქნებიან ადგილობრივი გადაწყვეტილების მიმღებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და თემის ლიდერები.

ecpat
INTERNATIONAL

328/1 ფაია თაის გზა, რაჩატევი,
ბანგკოკი 10400, ტაილანდი.
ტელეფონი: +662 215 3388
ელ-ფოსტა: info@ecpat.org
ვებსაიტი: www.ecpat.org

დამატებითი ინფორმაციისთვისი :